ხაშურის მოამბე

№43 (464) 11 ნოემბერი, ორშაბათი, 2024 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

7 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, ლევან გამრეკელის თავმჯდომარეობით.

სხდომაზე საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულბულისციხეში მდებარე ცენტრალური N2 ქუჩისათვის სასულიერო პირის „დეკანოზ დავით გრიგალაშვილის“ ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

აგრეთვე, დაბა სურამში, ორი იდენტური სახელწოდების მქონე (ვანო სარაჯიშვილის ქუჩა) ერთი ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

სხვა საკითხებთან ერთად, საკრებულომ მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2024 წლის ათ თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ცერცვაძემ წარმოადგინა.

სხდომას ესწრებოდნენ სოფელ ბულბულისციხის წარმომადგენლები და დეკანოზ დავით გრიგალაშვილის ოჯახის წევრები, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიას საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვს.

ხაშურის წყალმომარაგების პროექტი აქტიურად მიმდინარეობს

ხაშურში აქტიურად მიმდინარეობს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის პროექტი, პარალელურად, კომპანია აწესრიგებს დაზიანებულ საგზაო ინფრასტრუქტურას.

პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში შეხვედრები ინტენსიურად იმართება.

ადმინისტრაციულ შენობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ წყლის პროექტის დასრულებისთანავე, კომპანია აწესრიგებს 9 აპრილის, გორის, თამარ მეფის, ბესიკის, სააკაძის ქუჩის მონაკვეთებს. ასევე, იწყება ფარნავაზის ქუჩაზე წყლის პროექტის განხორციელება. დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, მოსახლეობას დამატებით ეცნობება.

რაც შეეხება ქუჩების კაპიტალურ მშენებლობას, სრულდება დადიანისა და ყაზბეგის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები. ტენდენცია გაგრძელდება და მუნიციპალიტეტის მერია, ეტაპობრივად, სრულად მოაწესრიგებს ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურას.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მოძველებულია, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნის. ქალაქს წყალი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით მიეწოდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქ ხაშურის მოსახლეობის, დაახლოებით 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების” პროექტი ხორციელდება საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით.

4 ნოემბრიდან გრიპის საწინააღმდეგო აცრები უფასოდ ხორციელდება

შემოდგომა თავის ბოლო დღეებს ითვლის. ახლოვდება ზამთარი და მასთან ერთად ახლოვდება გრიპის სეზონი, რომელიც თავის პიკს სწორედ ამ პერიოდში აღწევს. ამ ვირუსული დაავადების ყველაზე ეფექტური პროფილაქტიკა კი აცრებია. სწორედ ამ პროცესზე გვესაუბრება მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი **დავით ჩიქოვანი:**

გრიპის საწინააღმდეგო აცრები, ჩვენს მუნიციპალიტეტში, 18 ოქტომბერს დაიწყო.ესაცრები,ძირითადად,რისკჯგუფებისთვისიყოგათვალისწინებული. 4 ნოემბრიდან კი დაიწყო საყოველთაო აცრები, რომელიც სრულიად უფასოა და მთლიან ხარჯებს ქვეყნის მთავრობა აფინანსებს. პირველ ეტაპზე 1200 ვაქცინა ჩამოვიტანეთ. ესაა ოთხკომპონენტიანი ვაქცინა, რომელიც ნიდერლანდებშია წარმოებული და მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა. ვაქცინებით სრულიად მომარაგებულია მუნიციპალიტეტის სოფლების ყველა ამბულატორია და ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეუძლია ამით სარგებლობა. დღეისთვის უკვე აცრილია 800-ზე მეტი პაციენტი. პროცესი გრძელდება და იმედია, შარშანდელ მაჩვენებელს (1400 პაციენტი) ბევრად გადავაჭარბებთ. რაც შეეხება კორონა - ვირუსს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ვირუსი უკვე დავამარცხეთ, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი ვირუსი გახდა და აღარაა ვირელანტური. ჩაიტარეთ აცრები და ამით დაცულნი იქნებით თქვენც და ყველა, ვისთანაც ურთიერთობა გიხდებათ, - განაცხადა საუბრის ბოლოს ბატონმა დავითმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2024 წლის 10 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

პატივცემულო მეგობრებო, წარმოგიდგენთ ანგარიშს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხაშურელმა ამომრჩეველმა ნდობა გამოუცხადა ქართული ოცნების გუნდს და პირადად მეც. ამ ნდობის გამართლება და შესაძლებლობის მაქსიმუმის გაკეთება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 30 296 600 ლარის ოდენობით. მიმდინარე წლის განმავლობაში, განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 51 477 400 ლარით, რაც 21 180 800 ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის იანვრის N2402

განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 9 841622 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 195 000 ლარი (სოფელ ნაბახტევში მდინარე ჭერათხეულაზე ხიდის მოწყობის სამუშაოებისათვის).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 589 110 ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N44 განკარგულებით ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 206 700 ლარი მუნიციპალიტეტებში დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, ნაგავმზიდი მანქანის შესასყიდად.

საქართველოს მთავრობის 30,12,2019 N2735 განკარგულებით საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 400 000 ლარი, რომელიც მიმართულია სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაციისათვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სხვა პროგრამების დაფინანსების საშუალება და, შესაბამისად, ამ პროგრამების ძირითადი მიზნების შესრულების შესაძლებლობა.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 სექტემბრამდე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 92 ტენდერი, საიდანაც 67 ტენდერი დასრულდა დადებითი შედეგით, ანუ გაფორმდა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, აღნიშნული ტენდერების სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 22 502 776.70 ლარს, ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს - 20 515 605.70 ლარს, ეკონომია შეადგენს - 1 987 171.00 ლარს. გამოცხადებული ტენდერებიდან არ შედგა 17 ტენდერი, 5 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, 2 ტენდერი მიმდინარეა, ხოლო 1 ტენდერი შეწყვეტილია.

2024 წლის 9 თვეში, სულ განხორციელდა 228 შესყიდვა, რამაც, გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შეადგინა 30 808 697.61 ლარი. ზემოაღნიშნული შესყიდვებიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 146 ხელშეკრულება 2 747 669.30 ლარის შესყიდვაზე, ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმებულია 82 ხელშეკრულება 28 061 028.31 ლარის შესყიდვაზე.

მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საქმეში:

დავიწყებ პროექტით, რომელიც მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესია. ეს გახლავთ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების აღდგენის მართლაც საუკუნის პროექტი, რომელსაც საფრანგეთის განვითარების სააგენტო, ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა აფინანსებს. პროექტი ითვალისწინებს ხაშურისა და მისი მიმდებარე დასახლებების (ზემო და ქვემო ოსიაურის, ცხრამუხას) წყალმომარაგებისა და ხაშურის წყალარინების სისტემის სრულ რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში, აშენდება 170 კმ ახალი წყალმომარაგების ქსელი და რეაბილიტირდება და აშენდება 40 კმ წყალარინების ქსელი; აშენდება წყალმომარაგების სათავე ნაგებობები, სატუმბი სადგურები, გადამცემი ხაზები და სადისტრიბუციო ქსელები, ასევე, ჩატარდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელის, მათ შორის კოლექტორების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია ძველი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის დემონტაჟი, რომლის ნაცვლად აშენდება ახალი ნაგებობა. სამუშაოების დასრულების შედეგად, ქალაქ ხაშურსა და მიმდებარე დასახლებებში მცხოვრები დაახლოებით 44 000 ადამიანი ისარგებლებს უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების გამართული სისტემით. როგორც იცით, სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და გადათხრილი გზები, გადაკეტილი ქუჩები და პროექტის მიმდინარეობის აუცილებელი თანამდევი მტვერი და ხმაური გარკვეულ დისკომფორტს და უხერხულობებსაც იწვევს, თუმცა, მადლობელი ვართ, რომ მოქალაქეები გაგებით ეკიდებიან შექმნილ ვითარებას. მოგეხსენებათ, ამ მასშტაბის პროექტის განხორციელება ამ უხერხულობების გარეშე, შეუძლებელია. ამასთან, მნიშვნელოვანია განვაცხადოთ, რომ ქალაქ ხაშურში შიდა გზების რეაბილიტაცია დაიწყება პროექტის მიმდინარეობის პარალელურად. გზის რეაბილიტაციის სამუშაოები უკვე მიმდინარეობს ყაზბეგისა და დადიანის ქუჩებზე, ვინაიდან აქ უკვე დასრულებულია წყალგაყვანილობისა და წყალარინების მოწესრიგება. მიმდინარეობს ქალაქის ქუჩების პროექტირება და მომავალ წელს, ქალაქ ხაშურში, იქ სადაც წყალგაყვანილობა/წყალარინების სამუშაოები დასრულდება, ეტაპობრივად მასიურად დაიწყება ქუჩების რეაბილიტაცია.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულების „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსება შეადგენს 9 882 660 ლარი (თანადაფინანსება 870 003 ლარი):

დაბა სურამში, ტაბიძის ქუჩის მეორე მონაკვეთზე, ასფალტო-ბეტონის გზების მოწყობა (დასრულება);

სოფელ ქინძათისა და სოფელ დუმაცხოვის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება (დასრულება);

სოფელ უწლევში მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა (მიმდინარე)

სოფელ ქვიშხეთში მე-5 და მე-8 ქუჩების გზების მოასფალტება და დაბა სურამში, იტრიაში მამათა მონასტერთან მისასვლელი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა (დასრულება);

ქალაქ ხაშურში, ახალციხის ქუჩის N6 და N50 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია (დასრულება);

დაბა სურამში, სარაჯიშვილის ქუჩის N6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია (დასრულება);

სოფელ ახალსოფელში გზის მოასფალტება (დასრულება);

სოფელ ალიდან სოფელ ნაბახტევისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩის N3, N4 და N5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია (დასრულება);

სოფელ ტეზერში ბეტონის საფარის მოწყობა (დასრულება);

სოფელ თაგვეთში დაზიანებული გზის გასწვრივ გზის ნაპირსამაგრი/ ნაპირდამცავი კედლის (გაბიონის) მოწყობა (დასრულება);

სოფელ ქვიშხეთში მჭედლიშვილების უბანში გზის მოასფალტება (დასრულება)

სოფელ წრომში და სოფელ ზეკოტაში ასფალტო-ბეტონის გზების მოწყობა (დასრულება);

სოფელ ცხრამუხაში (მე-2 და მე-11 ქუჩები) შიდა გზების მოასფალტება (დასრულება);

ქალაქ ხაშურში ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთის მოასფალტება (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში შალვა დადიანის ქუჩის გზის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

დაბა სურამში ფიროსმანის ქუჩაზე (პოლიციის მიმდებარედ) სკვერის მოწყობა (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში შინდარის დასახლებაში სკვერის მოწყობა (მიმდინარე);

ქ. ხაშურში მდინარე შოლას მარცხენა სანაპიროს ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა (მიმდინარე);

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში ბუღაურის დასახლებაში გზის რეაბილიტაცია (მიმდინარე).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულების „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საფუძველზე დაფინანსება შეადგენს 2 195 000 ლარს:

სოფელ ნაბახტევში მდინარე ჭერათხევზე საავტომობილო ხიდის მოწყობა (მიმდინარე);

სოფელ სატივეში გზის დამცავი კედლის მოწყობა (მიმდინარე);

სოფელ ნაბახტევის გზის დამცავი კედლის მოწყობა (მიმდინარე).

გასულ 9 თვეში ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 8 187 252 ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება:

ქალაქ ხაშურში, შინდარის დასახლებაში და დაბა სურამში, ბუღაურის დასახლებაში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა;

მდინარე სურამულაზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის მშენებლობა/რეაბილიტაცია;

სოფელ ქვიშხეთში, ლაცაბიძეების უბანში გზის დამცავი კედლის მოწყობა;

დაბა სურამში გზის დამცავი კედლის მოწყობა;

სოფელ ქვიშხეთში (ჭალის უბანში) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია;

სოფელ წაღვლში სკვერის მოწყობა;

ქალაქ ხაშურში, სარაჯიშვილის ქუჩის მონაკვეთზე, საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია;

დაბა სურამში ცენტრალურ სტადიონზე დაზიანებული ტრიბუნების დემონტაჟის და დამცავი კედლის მოწყობა, სადრენაჟე სისტემის მოწყობა და გასახდელების რეაბილიტაცია;

დაბა სურამში, სპორტული მოედნის მიმდებარე ფერდსამაგრი კედლის მშენებლობა;

ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი);

დაბა სურამში შიდა საუბნო გზის (კაკალათხევის დასახლება) რეაბილიტაცია;

სოფელ ტეზერში მე-2 ქუჩის გზის (სოფელი ყიფიაანთუბანი) რეაბილიტაცია;

დაბა სურამში, ამაღლების ქუჩაზე და სოფელ ტკოცაში, სანიაღვრე არხების მოწყობა;

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება ბინა №13-ში მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება, ბინა №2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობის და ქალაქ ხაშურში, ბორჯომის ქუჩა, ბინა №46-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;

სოფელ დიდ ფლევში გარე საჭიდაო მოედნის რეაბილიტაცია;

ქალაქ ხაშურში თამარ მეფის ქუჩა N9-ის მიმდებარედ (მშენებარე იუსტიციის სახლი) ავტოსადგომისათვის ასფალტის საფარის მოწყობა;

სოფელ ცხრამუხაში შიდა გზების მოასფალტება (ხმალაძეების უბანი);

სოფელ ცხრამუხაში შიდა გზების მოასფალტება (ეკლესიამდე მისასვლელი გზა);

ქალაქ ხაშურის და სოფელ ზემო ოსიაურის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის დემონტაჟი;

სოფელ წაბლოვანაში და სოფელ ცედანში მისასვლელი საავტომობილო გზის მოასფალტება;

მდინარე სურამულას კალაპოტის გაწმენდა;

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ. ხაშური მდინარე შოლას მონაკვეთი) დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/ რეაბილიტაცია;

მდინარე შოლას კალაპოტის გაწმენდა;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულება) დაფინანსდა - 81 პროექტი, რომელთა ღირებულება შეადგენს 904 000 ლარს (თანადაფინანსება - 700 000 ლარი).

ასევე მიმდინარეობს

ქ. ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

ქ. ხაშურის N4 საჯარო სკოლის მშენებლობა;

დაბა სურამში საბავშვო ბაღის მშენებლობა;

სოფ. ცხრამუხაში საბავშვო ბაღის მშენებლობა.

სკვერებისა და სპორტული მოედნების რეაბილიტაციას მუნიციპალიტეტი მომავალშიც გააგრძელებს, თუმცა, მოსახლეობასთან გვექნება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თხოვნა: ძალიან მომრავლდა ვანდალიზმის ფაქტები. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად დაზიანების ხარისხი აშკარად მეტყველებს, რომ ადგილი აქვს მიზანმიმართულ ქმედებას. მუნიციპალიტეტი აუცილებლად გამოიყენებს მისი კომპეტენციას მიკუთვნებულ უფლებას და გაატარებს ადმინისტრაციულ ზომებს, მაგრამ გთხოვთ, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ იმას, რაც უკვე გაკეთებულია, რაშიც თითოეული ჩვენგანის ფულია გადახდილი და შესაბამისად, თითოეული ჩვენგანის საკუთრებას წარმოადგენს. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტი მუშაობს შეზღუდული რესურსების პირობებში და ამდენად, ძალიან სამწუხაროა, რომ იძულებული ვართ, დამატებითი რესურსი დავხარჯოთ იმაზე, რაც ერთხელ უკვე გაკეთდა.

2022 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტი ახორციელებს „მონაწილეობით ბიუჯეტირება“-ს, ცნება „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“, გულისხმობს ადგილობრივ დონეზე მართვის ინოვაციურ მეთოდებს, ფინანსების ყაირათიან და შედეგზე ორიენტირებულ განკარგვას, ასევე მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართვას როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე პროექტების განხორციელების მონიტორინგსა და შედეგების შეფასების პროცესებში. მონაწილეობითი ბიუჯეტირება ემყარება რწმენას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქოსაზოგადოებადასაჯარომოხელეებიერთობლივადუფროეფექტურად შეძლებენ საჯარო ხარჯების პრიორიტეტულობის განსაზღვრას, რაც ხელს შეუწყობს სოციალური კონფლიქტების შემცირებას და გაზრდის საზოგადოების კეთილგანწყობას მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. მონაწილეობითი ბიუჯეტირების არსი ისაა, რომ მოსახლეობა თავად განსაზღვრავს საკუთარ საჭიროებებს და თავადვე წყვეტს, თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს, მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. შესაბამისად, ბიუჯეტის ასიგნებებმა 2024 წლის ბიუჯეტში შეადგინა 300 000 ლარი (სოფელი ალი - 100 000 ლარი, სოფელი სათივე -100 000 ლარი, სოფელი სარმანიშვილისკარი 100 000 ლარი), სოფელი ალში ახალი საარჩევნო სისტემით ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურების მეშვეობით განხორციელდა საპროექტო იდეების წარდგენა, გადარჩევა და გამარჯვებული პროექტების გამოვლენა, ხოლო სოფელ სათივესა და სარმანიშვილისკარში- ტრადიციული მეთოდით.

როგორც მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღებზე ზრუნვა ჩვენი ხელისუფლების ერთ-

ერთი მთავარი პრიორიტეტია. მიმდინარეობს საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღსაზრდელთათვის საერთაშორისო სტანდარტების სრულ შესაბამისობაში მყოფი პირობების შეთავაზებას როგორც კვებისა და ჰიგიენის, ისე სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის მერია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზებას.

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 112 820 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა 859 940 ლარ;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 41 410 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 24 000 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 170 000 ლარი;

გაწეული დახმარების მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფას. ამ მიზნით დახმარება გაეწია 202-ზე მეტ ბენეფიციარს 85 000 ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვების/ მოზარდების რეაბილიტაციის კურსის დაფინანსებას. სკოლიოზით დაავადებულ 45 მოზარდს გაეწია დახმარება და ჩაუტარდა რეაბილიტაციის სრული კურსი, რამაც 14 000 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის მუნიციპალური პროგრამით ფულადი სოციალური დახმარება გაეწია მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს და იმ პირებს რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, ან საჭიროებენ მომვლელს. აღნიშნული კატეგორიის 156 ბენეფიციარს გაეწია 46 800 ლარის ფულადი დახმარება.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დადებითი როლი ითამაშა ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებამაც. ამ მუხლით ფინანსდებიან:

ა) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ გეგმურ ქირურგიულ ჩარევას;

ბ) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს (ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და იმუნოჰისტოქიმიური კვლევა);

ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა;

ავადმყოფები, რომლების საჭიროებენ სხივური და ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსებას;

მე-2 პუნქტით- „ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფოპროგრამა“-დახმარებისგაცემისშესაძლებლობას,მიზანშეწონილობას და მოცულობას (არაუმეტეს 2000 ლარისა) განსაზღვრავს 2018 წლის 23 მაისის N 1196 ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული მუხლით ფულადი დახმარება გაეწია 900 ბენეფიციარს, რამაც სულ შეადგინა 407 000 ლარი.

ასევე დაფინანსდა 40 ხელმოკლე სტუდენტი. მათ სწავლის ღირებულების თანადაფინანსებისათვის 800 (არაუმეტეს) ლარის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხათ 32 000 ლარი;

თირკმლის დიალიზის პროგრამაში ჩართულმა 40 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება 20 000 ლარის ოდენობით;

მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი) დედებს, რომლებსაც შეეძინათ ოთხი და

მეტი შვილი, ასევე, დედის დღესთან დაკავშირებით, 372 მრავალშვილიან დედას გაეწია ფინანსური დახმარება 122 100 ლარის ოდენობით.

აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების (0 დან -18 წლამდე) სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება გაეწია 8 ბენეფიციარს 13 500 ლარის ოდენობით.

პარალელურად, გრძელდება წინა პერიოდში დაწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დღის მოვლის ცენტრის, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები.

გარდა ამისა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 185 მოქალაქე სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით, რომლის დანახარჯი დღეის მდგომარეობით შეადგენს 113 333.33 ლარს (8 თვე);

გრძელდება კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამა.

მიმდინარე წელს სოციალურად დაუცველ 730 ოჯახს შობისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით გაეწიათ დახმარება;

ომის ვეტერანთა 49 ოჯახს გაეწიათ ფულადი დახმარება საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 400-400 ლარით. სულ ამ თანხამ შეადგინა 19 600 ლარი;

უკიდურესად გაჭირვებულ და უბინაო მოქალაქეებს (30 ოჯახი) ბინის ქირით უზრუნველსაყოფად ჩაერიცხათ 47 520 ლარი;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის 2024 წლის პროგრამით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში შემოწმდა ქალაქ ხაშურისა და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სკოლებისა და საბავშვო ბაღების სანიტარულ- ჰიგიენური და სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ამ პერიოდში, ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. ჩატარებულია ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები. მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული, „ც" ჰეპატიტის უფასო სკრინინგული კვლევები.

მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს.

შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ტკბილეული და საჩუქრები გადაეცათ მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარებს, შშმ პირთა ბავშვთა მოვლის ცენტრებს და საზღვრისპირა ზონაში მცხოვრებ დაწყებითი კლასის და ალტერნატიული საბავშო ბაღის აღსაზრდელებს.

14 იანვარს, საქართველოში სახელმწიფო დროშის დღე აღინიშნება. განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ამ დღესთან დაკავშირებით, ხაშურში სახელმწიფო დროშები გამოიფინა.

25 თებერვალს, სურამში, ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას დაბადებიდან 154-ე წლისთავი აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით, გვირგვინით შეიმკო მისი მემორიალი.

4 მარტს, სოფ. ოსიაურთან, ქართველი გმირებისა და იუნკრების ხსოვნის პატივისცემის ნიშნად, გვირგვინით შეიმკო მემორიალი.

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, სიმბოლური საჩუქრები გადაეცა მომავლის სახლისა და დღის მოვლის ცენტრის აღსაზრდელებთან მომუშავე პერსონალს, 8 მარტს კი, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დასაჩუქრდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ქალთა პერსონალის წარმომადგენლები.

18-24 მარტის ფრანკოფონიის კვირეულს საქართველოში პირველად შეუერთდა ხაშური. ამასთან დაკავშირებით, ხაშურის ახალგაზრდულ სივრცეში, ფრანგული ენისა და ფრანკოფონიის (ფრანგულად მოლაპარაკე) დღესასწაულის აღსანიშნავად გაიმართა ღია კარის დღე. შეხვედრა მიეძღვნა საფრანგეთს და ფრანგულ კულტურას. ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი და საფრანგეთის ელჩის მრჩეველი და ატაშე.

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საჩუქრები გადაეცა „მომავლის სახლის" ბენეფიციარებს.

27-28 მარტს, სამხარეო ადმინისტრაციის, მაჟორიტარი დეპუტატის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, თბილისის სამებისა და ხაშურის საკათედრო ტაძრებში სამძიმრითა და გვირგვინებით პატივი მიაგეს აფხაზეთიდან გადმოსვენებულ, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ, ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრ ალექსი ქორთიაშვილისა და ბესიკ ობოლაძის ნეშტებს.

29 მარტი - 5 აპრილი, სურამის კულტურის სახლში გაიმართა, შემოქმედ ბავშვთა ფესტივალი „იავნანა".

2 აპრილს, ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ მუზეუმს ეწვია იაპონელი ენათმეცნიერი, მთარგმნელი და ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა და მუსიკოსი, ჟურნალისტი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი ნაზი სარჯველაძე. მოეწყო ღონისძიება "ვაჟა-ფშაველა და იაპონია". ღონისძიების ორგანიზატორები: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2 აპრილს, მსოფლიოში აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კამპანიას ხაშურის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა და ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის, - „საზოგადოება ბილიკის" სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის მუსიკალური სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა.

9 აპრილს, გვირგვინითა და 9 აპრილის სიმბოლო - წითელი ტიტებით შეიმკო დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალი.

10 აპრილს, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა ვატო ჟორდანიას კლასიკური მუსიკის საღამო.

14 აპრილს, აღინიშნა დედაენის დღე მერიას დაქვემდებარებულ კულტურის სფეროს დაწესებულებებში.

17 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და ხაშურის თოჯინების თეატრის ინიციატივით, კეთილდღეობის და განვითარების ცენტრის „მომავლის სახლის", მოზარდთა განვითარების ცენტრისა და მე-2 საჯარო სკოლასთან არსებული დღის მოვლის ცენტრის აღსაზრდელებს უმასპინძლა ხაშურის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრმა.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, გვირგვინით შეიმკო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი.

11-13 მაისს, ქალაქ ბათუმში, ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-15 ფესტივალზე „Expo Batumi Travel 2024", ჩვენი მუნიციპალიტეტი ღირსეულად წარმოადგინა განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურმა და გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის სერტიფიკატიც დაიმსახურა.

17-23 მაისს, სურამის კულტურის ცენტრში, გაიმართა, მე-12 ტრადიციული, კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი.

18 მაისს, მიხეილ მურვანიშვილის დაბადების დღეს, ქართველი მეტყევისა და მეცნიერის ბიუსტი გვირგვინით შეამკეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ასევე, მაისის თვეში, ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ლიტვისა და ლატვიის ხაშურთან დამმობილებული ქალაქების დღესასწაულებზე. ლატვიაში, ქ. ბაუსკას დღესასწაულზე, სპეციალური მიწვევით იმყოფებოდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფრესკა". კულტურის სფეროში განსახორციელებელი პროგრამის ფარგლებში მოხდა ანსამბლის

წევრებისა და პედაგოგის მგზავრობის ხელშეწყობა.

საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი. გვირგვინებით შეამკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი, საქართველო- სომხეთის 1918-1919 წლების ომში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან გარდაცვლილ მებრძოლთა სამმო სასაფლაო და სოფელ ამვისში, პატრიოტი მოქალაქის, დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძის საფლავი. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მოეწყო ეროვნული სამოსით კოსტიუმირებული მსვლელობა. მოეწყო ადგილობრივი შემოქმედების ნამუშევრების, მეწარმეების ნაწარმის და ყვავილების გამოფენა-გაყიდვები. პატარების გართობაზე იზრუნეს ანიმატორებმა. დღის ბოლოს გაიმართა საზეიმო კონცერტი ადგილობრივი და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით. სადღესასწაულო განწყობა ფეიერვერკმა დაასრულა.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, ღია ცის ქვეშ, მოწვეულმა ანიმატორებმა იზრუნეს ბავშვების საზეიმო განწყობაზე. ასევე, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, ხაშურში არსებული მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებისა და დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარები, მე-2 საჯარო სკოლასთან არსებული დღის მოვლის ცენტრის ბავშვები იმყოფებოდნენ კინოთეატრში.

7 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ხაშურის თოჯინების თეატრის დარბაზში, ახალგაზრდულმა თეატრალურმა დასმა წარმოადგინა სპექტაკლი,,სამყაროს დაანახებს, ცუდს ნურაფერს ანახებთ!" ინსცენირების ავტორი მაკო მაჭარაშვილი, რეჟისორი გია ცხვედაძე.

10 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, გაიმართა მუნიციპალურ ანსამბლ „ფრესკას" კონცერტი, სადაც ასევე მონაწილეობდნენ მუსიკოსი მიშა წითელაშვილი, მსახიობი ზვიად დოლიძე და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სოლისტი ლევან ტაბატაძე. ივნისის თვეში, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში მოეწყო ბონდო ჩადუნელის ხელნაკეთი ნივთების- საბრძოლო იარაღების გამოფენა.

ივნისში, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით, ჩატარდა „ყვავილების ფესტივალი", მუნიციპალიტეტის მოსწავლეებისათვის.

ტურისტულმა საინფორმაციო ცენტრმა, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით, დაიწყო პროექტი „ინფო ტური ქ. ხაშურში", სადაც ჩართულები არიან ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით, „თოჯინების თეატრმა" მონაწილეობა მიიღო ქ. ქობულეთში გამართულ ფესტივალში „ნარინჯისფერი ქობულეთი".

8 აგვისტოს, გვირგვინებით შეიმკო რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა საფლავები.

12 აგვისტოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა მრავალფეროვანი აქტივობები და საზეიმო კონცერტი ქალაქის ცენტრში, ღია ცის ქვეშ.

16 სექტემბერს, ზემო სერის ტყე-პარკის ახალმა ღია ამფითეატრმა სიმღერისა და ლექსის საღამოს უმასპინძლა.

23 სექტემბერს, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, ყველასათვის საყვარელი ანსამბლის, „ფორტეს" კონცერტი გაიმართა.

27 სექტემბერს ყვავილების გვირგვინით შეიმკო ტაბიძის ქუჩასთან მდებარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპული მებრძოლების ხსოვნის ხეივანი.

27 სექტემბერს, მსოფლიო ტურიზმის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს შეუერთდა ხაშურის მუნიციპალიტეტი და ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში, მოეწყო ადგილობრივი მეწარმე შემოქმედ ხელოვან ქალთა ხელნაკეთი ნივთების/ პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა.

29 სექტემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტმა „ხაშურქალაქობის" დღესასწაული

იზეიმა. დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა მსვლელობა- პერფორმანსი, ხელნაკეთი ნივთებისა და ფერწერული ნამუშევრების გამოფენა- გაყიდვა, ანიმატორების შოუ პატარებისთვის, კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით. დაჯილდოვდნენ ხაშურის საპატიო მოქალაქეები, წარმატებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები, 2024 წელს 100%-იანი გრანტით ჩარიცხული სტუდენტები. აგრეთვე, გაიმართა ცეკვისა და სიმღერის აკადემიური ანსამბლის, „აფხაზეთის“ და „ღამის შოუს ბენდის“კონცერტი.

5 ოქტომბრის მასწავლებლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, მუნიციპალიტეტის წარმატებული პედაგოგები დაჯილდოვდნენ.

5 ოქტომბერს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმში ,,თბილისობის“ დღესასწაულის საზეიმო ღონისძიებებს, ტრადიციულად, ხაშურის მუნიციპალიტეტის შეუერთდა.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტში მცხოვრები პატარებისათვის, რეგულარულად იმართებოდა თოჯინების თეატრის სპექტაკლები. აქტიურად ხდებოდა ადგილობრივი შემოქმედი ადამიანების სხვადასხვა ფესტივალებსა თუ კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა როგორც საქართველოში ისე, მის ფარგლებს გარეთ.

სპორტულ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში: ქ. ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლასა და სოფლად არსებულ სასპორტო წრეებზე, რეგულარულად იმართება წვრთნები პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ სპორტულ სახეობებში: ქ. ხაშურში: ჭიდაობა ძიუდო, ჭიდაობა სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, რაგბი, ბატუტზე ხტომა, მკლავჭიდი; დაბა სურამში: ძიუდო, ფეხბურთი, რაგბი; სოფლებში: სოფ. ვაყაში –ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სოფ. ალში – ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სოფ. გომში – ჭადრაკი, ფეხბურთი, სოფ. ოსიაურში – ქართული ჭიდაობა, სოფ. ცხრამუხაში – ფეხბურთი, სოფ. ბროლოსანში – ჭიდაობა ძიუდო; სოფ. კლდისწყაროში– ძალოსნობა, სოფ. ფლევში – ფეხბურთი, ჭიდაობა, სოფ. ქვიშხეთში – ფეხბურთი.

სამწვრთნელო-სააღმზრდელო პროცესში ჩართულია 1 410-მდე ბავშვი/ სპორტსმენი. ხაშურის კომპლექსური სკოლის აღსაზრდელები მუდმივად მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში და აღწევენ კიდეც წარმატებებს.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღმნიშვნელ საზეიმო ღონისძიებაზე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ დააჯილდოვა წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები.

6-7 მარტს ქ. ხაშურში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში 2010-2011 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ჩემპიონატში 500-მდე მოზარდი იღებდა მონაწილეობას.

11-13 მარტს, ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში გაიმართა საქართველოს პირველობა 23-წლამდელთა შორის, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში.

26 მარტს გაიმართა ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, რამაზ ხარშილაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში.

30-31 მარტს, ხაშურის სასპორტო სკოლაში ჩატარდა, გიორგი მახარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში.

4 აპრილს გაიმართა დავით დათიაშვილის სახელობის ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

1 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და სასპორტო სკოლის ინიციატივით მოაწყო, საყოველთაო გარბენი, „მარათონი 2024“ .

აპრილის თვეში სპორტულმა კომპლექსმა უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს, თავისუფალ და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობებში. შეჯიბრში სხვადასხვა წონით კატეგორიაში, 17 წლამდე ასაკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

26 მაისს გაიმართა მუნიციპალიტეტის ღია პირველობა - სკოლებს შორის, ჭადრაკში - ასაკობრივ კატეგორიებში.

4-5 ივნისს, გაიმართა თემურ კობერიძის სახელობის ტურნირი ფეხბურთი პატარებში.

6 ივნისს გაიმართა ლუკა მაისურაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში

ასევე ფეხბურთის სფეროში ხაშურის საფეხბურთო გუნდი „ივერია“ - (ბიჭები), მონაწილეობას იღებდა საქართველოს რეგიონული ლიგის ჩემპიონატში.

ხაშურის საფეხბურთო გუნდი „ივერია“ - (გოგონები), მონაწილეობას იღებდა ჩემპიონატში „ქალთა ლიგა 2“.

აქტიურად მიმდინარეობს რაგბიში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მონაწილეობა.

წელს პირველად ჩამოყალიბდა სურამის ქალთა რაგბის ჯგუფი, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა დონის საფესტივალო შეჯიბრებებში.

2024 წლის იანვრის ბოლოდან ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ინიციატივით მოხდა სპორტსმენთა კვების თანხის ზრდა, ასევე გაიზარდა გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოების თანხები.

ხაშურელი ფეხბურთელები აქტიურად არიან ჩართულნი მოყვარულთა ლიგის რეგიონულ ჩემპიონატში. 23 ივნისს გამართულ კროკობეთ მოყვარულთა ლიგის ხაშურის მუნიციპალური ეტაპის ფინალურ შეხვედრაზე გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ოლიმპიური დღის აღსანიშნავად ქ. გორში ჩატარდა მარათონული გარბენი, სადაც მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღეს ხაშურელმა ახალგაზრდებმა და სპორტსმენებმა.

28 ივლისს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალში ჩატარდა დამსახურებული მწვრთნელის, მალხაზ ნოზაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

12 აგვისტოს, ხაშურის ცენტრალურ პარკში მდებარე საკალათბურთო გარე მოედანზე, სტარტი აიღო მერაბ ჩიტიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ტურნირმა „ჩიბუხა 20214“ 3x3 კალათბურთში.

12 აგვისტოს გაიმართა ჭადრაკის, ნარდის და მაგიდის ჩოგბურთის ღია პირველობა.

12 აგვისტოს გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში- „დურუს თასი 2024“.

აგვისტოს თვეში მიხეილ საჟინიანს გაეწია ფინანსური მხარდაჭერა ლას-ვეგასში გასამგზავრებლად, UFC-ის საგზურის მოსაპოვებელ ბრძოლის გასამართად.

19 აგვისტოს, სოფელ ქინძათში გაიმართა ვიტალი ნოზაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

აგვისტოს ბოლოს, სპორტის სამინისტრომ ხაშურის, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების სპორტულ დაწესებულებებსა და კლუბებს ინვენტარი და ეკიპირება გადასცა.

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ,,შიდა ქართლის სპორტული თამაშები 2024“ ჩატარდა.

29 სექტემბერს, ხაშურქალაქობის დღესასწაულის ფარგლებში, პეინტბოლის და თემურ კობერიძის სახელობის ქალთა საფეხბურთო რესპუბლიკური ტურნირები გაიმართა. ასევე, ჩატარდა ჭადრაკის, ნარდის და მაგიდის ჩოგბურთის ტურნირები.

ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში: 17 თებერვლიდან 13 აპრილის ჩათვლით, შიდა ქართლის რეგიონის ქალაქებში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონული ტურები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. აღნიშნულ აქტივობებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ და განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურმა ოლიმპიადის მონაწილეებს შეუძინა სათამაშო ფორმები და დაუფინანსდათ მგზავრობის ხარჯები შიდა ქართლის ქალაქებში. აღნიშნულ ტურნირზე აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონი გახდა მე-9 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, ყოველკვირეულად მიმდინარეობდა ინტელექტუალური თამაში „ბიგ-რაუნდი“, რომლის ფინალური შეხვედრა, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ, 8-9 ივნისს გაიმართა ქ. ბათუმში. მოხდა ფინალისტების ტრანსპორტირებითა და სასტუმროს მომსახურებით უზრუნველყოფა, გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრებით.

1 აპრილს - ხაშურში, მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-„ხაშურის ახალგაზრდულისაბჭო“პირველადშეიკრიბა.ადგილობრივითვითმმართველობის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვან მონაწილეობას და ჩართულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საბჭოსთან თანამშრომლობა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ზაფხულის პერიოდში „ხაშურის ახალგაზრდული საბჭოს“ შეხვედრები რეგულარულად იმართებოდა.

22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, სურამში, ახალგაზრდების ინიციატივით განხორციელდა დასუფთავების აქცია.

22 მაისიდან - 3 ივნისის ჩათვლით, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში, აღმოსავლეთ საქართველოს დასკვნით ეტაპზე მონაწილეობა მიიღეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის რეგიონულ ტურნირში გამარჯვებულმა საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

18 ივნისს, შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ სპორტულ აქტივობებში მხარდაჭერა და დახმარება გაეწიათ ხაშურის მუნიციპალიტეტის დღის მოვლის „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს.

18 – 22 ივნისს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით , ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დიდ ეკრანზე განხორციელდა ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მატჩების ჩვენება.

21 ივნისს „მოიარე საქართველო - ვიწყებთ ჩვენი რეგიონით“ პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ტრანსპორტით დახმარება გაეწია ხცისის საჯარო სკოლის ბავშვებს.

კასპის ტექნოპარკის ორგანიზებით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დაფინანსებით და ხაშურის მუნიციპალიტეტების მერიის თანადაფინანსებით შიდა ქართლის რეგიონის ინოვაციების ბანაკი TECHSKILLS BOOTCAMP 2024 ჩატარდა.

ზაფხულის პერიოდში, ყოველკვირეულად, ახალგაზრდებისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, საკრებულოს თავმჯდომარის და განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივით იმართებოდა შეხვედრები, ლექციები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან.

საქართველოს მთავრობის დახმარებით და ადგილობრივი ბიუჯეტის რესურსების გონივრული გამოყენებით, მუნიციპალიტეტის მერია მნიშვნელოვან ღონისძიებებს განახორციელებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით. აქვე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საქმიანობის განმავლობაში მუდმივად ვგრძნობდით უდიდეს მხარდაჭერას როგორც საქართველოს მთავრობის, ისე რეგიონის ხელმძღვანელობის მხრიდან, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი მათ. მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ა(ა)იპ-ების თითოეულ თანამშრომელს, რომელთა ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა თითოეული პროექტის განხორციელება.

ძია გრიშკო - კაცი, რომლისთვისაც მტრედები სიხარულის და სიცოცხლის წყაროა

როცა სტატიის წერა დავიწყე, ჩემი რესპონდენტის სოციალური სტატუსის დასაწერად, ბევრი ვიფიქრე, რა დავწერო ადამიანზე, რომელიც 62 წელია, მტრედებს ამრავლებს, უვლის და ბედნიერია, მემტრედე ვიფიქრე, მერე მომერიდა, მაგრამ ყველაზე კარგად, სწორედ ეს სიტყვა ასახავს და გამოხატავს ბიძია გრიშკოს დამოკიდებულებას მტრედების მიმართ. გრიგოლ მეხრიშვილად არ იცნობენ, ყველასთვის გრიშკოა, რომელიც უყვართ, როგორც კარგი სურამელი. ძალიან ბევრმა იცის მისი გატაცების შესახებ, რომელიც გატაცებაზე უფრო მეტია. საკუთარი თვალით უნდა ნახოთ, როგორ იწყებს დილას მტრედების გამოშვებით, გამოკვებით, მოფერებით. მერე ჩამოჯდება და შორიდან უყურებს, როგორ კენკავენ საკვებს, როგორ დაღუღუნებენ, ერთმანეთს ეპრანჭებიან, წყვილდებიან და თქვენ წარმოიდგინეთ, ღალატობენ კიდეც თურმე ერთმანეთს. ზამთარში, ახლადგამოჩეკილი ხუნდები, სახლში შეყავს, გამოაზამთრებს და ასე, ნაფერებს უშვებს სამტრედეში. ადრე, მაწონს ვყიდდით სახლიდან, ცოლი მეუბნებოდა, არავინ იყიდის, ბარტყები რომ გვყავს სახლში, ხალხი რას იტყვისო-არც მიდარდია, მტრედების ბედი მაღელვებდა მაწვნის

გაყიდვაზე მეტად. სტუმრად მისულებს, თან გვმასპინძლობდა, თან სიყვარულით საუბრობდა ყველაფერზე, რაც მტრედებს ეხებოდა:

-ექვსი წლის ვიყავი, მამა დაჭერილი იყო იმ პერიოდში, განსაკუთრებული სიყვარული მქონდა მის მიმართ. მტრედი მოფრინდა, ბიძაჩემმა მითხრა, შვილო, ეს მტრედი, მამაშენის ჯიშისაა, მტრედი გაფრინდა, ბიძაჩემს ვუთხარი, რომ მტრედის ყიდვა მინდოდა. ნათესავმა მაჩუქა, რომელსაც ძალიან უყვარდა მტრედები. ჩემი ოჯახი ძალიან მიყვარს, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო, საიდანაც არ უნდა ვბრუნდებოდე, პირველი მაგათ მოვიკითხავ, მტრედებს უნდა მივხედო.

-როგორ მოამრავლეთ მტრედები?

-მაგის მერე, მე და მამაჩემს შუა აზიიდან, რუსეთიდან მოგვყავდა მტრედები. მამაჩემი საოცარი კაცი იყო, ერთხელ, მტრედების გამო აშხაბადიდან ჩამოვედით კრასნოვოდსკში, იქიდან ბაქოში. თეთრი მტრედი რომ მყავს, მაგაში მანქანა რომ მომცენ, არ მინდა, შეიძლება მიმინომ მომტაცოს, მაგრამ ვერ გავყიდი, ვერ შეველევი, სანამ ცოცხალი ვარ.

-რითია განსაკუთრებული მტრედებთან ურთიერთობა?

-თქვენ რომ წახვალთ, გავუღებ კარებს, გამოვუშვებ, დავუყრი საჭმელს, დავიდგამ სკამს და ვუყურებ. ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა სიყვარულია, რომ ეს პროცესი, ამდენად მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა ჩემთვის. არ გავა წელი, მთელი საქართველო არ შემოვიარო და მემტრედეებთან არ მივიდე სტუმრად. დიდი სიყვარული და თერაპიაა ჩემთვის.

-სხვა მემტრედეებიცაა სურამში?

-ჩემს ბავშვობაში, ჯერ მარტო სურამში, 50 მემტრედე იყო, დღეს ამდენი აღარ ვართ. ძირითადად, მტრედებით ვაჭრობდნენ, არასდროს მიფიქრია, რომ აქედან ფული მეშოვა. ძალიან მინდა, ყველაზე კარგი მტრედები მყავდეს. ადრე ბევრი მყავდა, მეგობრებს ვჩუქნი, ვცვლი ახალ ჯიშებში. ახლა მყავს „ფოსტები“, რომლებიც ქართული ჯიშებია. მამაჩემსაც ძალიან უყვარდა მტრედები, სანამ ცოცხალი ვარ,

მისი პატივისცემით, მტრედებს ვერ გავყიდი.

ორჯერ შემხვდა კოვიდი, საავადმყოფოში ვიწექი, სულ მტრედების დარდი მქონდა, ღამეები არ მეძინა, ბარტყები არ დახოცილიყვნენ, საავადმყოფოდან ვრეკავდი და ვკითხულობდი, თუ აჭამეს, მოუარეს. ხომ არიან ადამიანები, ძაღლები რომ უყვართ, კატები, სხვა ცხოველები, მე მტრედები მიყვარს. რომ ნახოთ, რამდენ მემტრედეს ვიცნობ. სურამშიც რამდენიმეა შემორჩენილი, ჩემი შვილების ასაკის არიან, ვჩუქნი ხოლმე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ, დარჩეთ ეს ჯიშები გასამრავლებლად.

-ისინი თუ გრძნობენ თქვენ სიყვარულს?

-თქვენ რომ გახვიდეთ და დაუყაროთ საჭმელი, არ ჩამოვლენ და არც მოგეკარებიან. ჩემს დანახვაზე, მაშინვე მოდიან, მცნობენ.

-ღალატი იციანო, მტრედებმა...

-ოჯახები აქვთ, გამრავლების პერიოდში, როცა დედალი კვერცხის დასადებად ემზადება, მამალი არ ტოვებს მარტო, თან დაყვება და ზრუნავს, იცავს. არიან ერთგული დედლებიც, მოღალატე მამრებიც. საოცარია მათზე დაკვირვების პროცესი, იმდენი რამის აღმოჩენა და სწავლაა შესაძლებელი. მტრედები მალე მრავლდებიან, ხუთი თვის მერე, უკვე წყვილდებიან და ემზადებიან გასამრავლებლად. ვატყობ, როდის აქვთ ეს პერიოდი და შესაბამისად ვაჯვარებ კარგი ჯიშის მტრედთან, რომ გენეტიკური მახასიათებელი შეინარჩუნოს.

-ოჯახი რამდენადაა ამ პროცესში ჩართული?

-იციან ჩემი განსაკუთრებული სიყვარული მტრედების მიმართ და როცა სადმე მივდივარ, ზრუნავს ჩემი მეუღლე. გათენდება თუ არა, გარეთ ვუშვებ, ჯერ ხორბალს ვაჭმევ, მერე წიწიბურას და სხვა მარცვლეულს. ეს პროცესი მიყვარს ყველაზე მეტად.

-ახლა რამდენი მტრედი გყავთ?

-მე და მამაჩემს ადრე 130 მტრედი გვყავდა, ახლა 30 მტრედი მყავს, არც ვითვლი, მაგრამ თუ დამაკლდება, აუცილებლად ვხვდები.

-ყველაზე დიდ საფრთხეს რა უქმნით?

-ყველაზე დიდი მტერი მიმინოა, ისე არაფერი მძულს, როგორც მიმინო.

ერთი ამბავი გაიხსენა ძია გრიშკომ :

-კომუნისტების დროს, სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო ერთხელ ქართლში სტუმრად. დაუნახავს „მოთამაშე“ მტრედები, მამაჩემს ჰყავდა, ბარტყებს თუ მომცემო. დავმეგობრდით. 27 დეკემბერს, აშხაბადიდან ნესვი, საზამთრო წამოვუღეთ და მტრედები ჩამოვუყვანეთ. მაშინვე დარეკა ხაშურში, რომ ჩემთვის ხელი არ დაედოთ არავის და პატივი ეცათ.

-ქართული ჯიში თუ არსებობს?

-„ფოსტა“ მტრედები ჰქვიათ, ჩვენი მტრედებია სიზაღნარი, შავი აგარანი, შავკუდები. ძველი „ფოსტები“, რომლებიც დღეს ცოტაა შემორჩენილი, შეუჩვეველი მტრედებია. ზესტაფონიდან ჩამოდიოდნენ ჩვენთან კალათებით, მტრედების წასაყვანად. საფლავზე გასაშვებად, ქორწილში გასაშვებად. თუ კარგი მტრედი იყო, სადაც არ უნდა გაეყიდათ, ბრუნდებოდნენ, ასეთ მტრედებს საჯიშეებად იტოვებდნენ.

-თუ იკრიბებით ხოლმე მემტრედეები, ურთიერთობის ან კომუნიკაციის რაიმე ფორმა არსებობს?

-მოდიან ხოლმე ჩემთანაც, მეც მივდივარ, ვცვლით ხოლმე ერთმანეთში მტრედებს, რომ ჯიში განვაახლოთ, რომ უფრო ჯანსაღი თაობა მივიღოთ.

ძია გრიშკოს უნდა იცნობდეთ, უნდა უსმენდეთ, როგორი სიყვარულით საუბრობს მტრედებზე, მისი დღე მტრედებზე ზრუნვით იწყება და მთავრდება. თუ მტრედებზე კითხავთ, უფრო მისიანი ხართ, გულთან ახლოს. წარმატებული შვილები ჰყავს, დიდი პაპაა-უკვე გულდამშვიდებული ვარო, გვითხრა, სამტრედე გააღო და ცაში აფრენილ მოღუღუნე მტრედებს სიყვარულის მზერა გააყოლა.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.